ოთხშაბათი, ივნისის 25 1919 წ. ფასი 1 მანეთი. № 12.

ჩვენი ქვეყანა

ყოველ-წლიური მესამე.

რედაქცია

სამაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღია: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ. ფიჩხაძის ს. ფოსტის **ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთ-ერთ 20 მ. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარეთან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 45 მან.

კანტორა ღია: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

„ჩვენი ქვეყანა“-ს რედაქციის კანტორასთან დაარსდა გაზეთის ფონდი. მოქალაქენო გაიღეთ შემოწირულებანი. გაზეთის გამოცემის საქმე მკითხველთა თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამ ფილიპეს ასული, ვაჟიშვილები ვლადიმერი და რომანი, ქალიშვილები ნატალია, საშა და ელენე (ჭუტუ) უგრინოვიჩისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს დაუვიწყარის და ძვირფასის

კონსტანტინე (კოწია) თეოხარის მე

მკურნალის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე დასაფლავება 26 ივნისს ნაშუადღევის 4 საათზე. საფიჩხიის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი დარია თევდორეს ასული მკურნალისა, ძმის შვილი ექიმი ანდრია ალექსანდრეს ძე მკურნალი მეუღლით გულითადის მწუხარებით აუწყებენ უდროოდ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი ბიზლისა, მეორე ძვირფასი ბიძის

კონსტანტინე თეოხარის ძის მკურნალისა,

რომლის გამოსვენება მოხდება 26 ამა ივნისს ნაშუადღევის 4 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე.

ენათ—მეცნიერების და ლიტერატურის

კურსები.

ქართული,
ფრანგული,
გერმანული,
რუსული,

გრამატიკა, ფონეტიკა, სემანტიკა, ლიტერატურა. კურსებზე მეცადინეობა დაიწყო ივნისის 20. მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, კლდიაშვილის სახლი.

ქუთაისის რეალური სასწავლებლის მასწავლებელი კ. ზ. ქაპანელი.

მაქვს (1000) ათას ფუთამდე გამომწვარი

რკო ეაკვისათვის.

იყიდება მხოლოდ მთელი პარტია. მსურველს შეუძლია მომაკითხოს ვარციხის ნაციონალურ მამულში ყოფილი ანანოვისა.

პატივისცემით ლავრენტი ბუიღლიშვილი.

Пріѣхал на 10 дней Г. А. РЯБУШКО

Фортепіанный мастеръ и настройщикъ фортепіанныхъ фабрикъ

Беккеръ Ренишъ.

Принимаетъ починку и настройку РОЯЛИ и ПІАНИНО

Адрес: Гагаринская. № 42. противъ окружнаго суда.

1—1.

ბოლშევიზმი და მენშევიზმი.

დასავლეთ ევროპის სოციალისტურმა მოძრაობამ არ იცის ბოლშევიკური მიმართულება იმ სახით, რა სახითაც ის ჩვენში და რუსეთში არსებობდა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ორი მიმდინარეობა ჩამოიხატა: მარქსისტური, რომელსაც გამოხატავდა კაუტსკი და ბებელი, და რევიზიონისტური—დავიდის, ბერშტეინის და სხვათა მეთაურობით. საფრანგეთში იგივე განმეორდა დაახლოვებით.

ეგრეთ წოდებულ. ორტოდოქსალურ მარქსიზმს ერთგულ დამცველათ, საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში, გედი და ლაფარგი აღმოუჩდენ,

რეფორმისტულ სოციალიზმის საუკეთესო გამომხატველათ კი ჟორესი უნდა ჩაითვალოს.

ამ ორ პოლიტიკურ მიმართულებათა შორის ბრძოლას ყოველთვის მშვიდი და შემარიგებელი სასიათი ქონდა.

მართალია, მათ შორის პრინციპიალური განსხვავებაც არსებობდა, ბრძოლის მეთოდებიც სხვადასხვა ნაირი ქონდათ. მაგრამ ამ დავას და განხეთქილებას არ დაუშლია პარტიული ცხოვრება.

დღემდე ისინი ერის დროშის ქვეშ იმყოფებიან, ერთად მუშაობენ, ჭირში და ლხინში ერთად არიან, ერთ განუყოფელ და მთლიან პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენენ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარმა განხეთქილებამ კი, როგორც ვიცით, ორ მოპირდაპირე ბანაკათ დაანაწილა, ოდესღაც ერთ მოძღვრების მიმდევარი პოლიტიკური ორგანიზაცია.

ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის დღეს შეურიგებელი ბრძოლაა ამტყდარი.

მიუხედავათ ამისა, უნდა ითქვას, რომ ორივე, როგორც ბოლშევიკური ისი მენშევიკური მიმართულება, ერთსა და იმავე წყაროდან არის წარმოშობილი, ერისა და იმავე საქმეს ემსახურებიან, ერთი და იგივე მიზანი აქვთ დასახული არსებული ურთიერთობის მოსპობა და სოციალიზმის დამყარება.

მათ შორის განსხვავება არის—განსხვავება მეთოდის, თვითეულ მათგანს რომ მიაჩნია საიმედოთ საბოლოო მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში. არ არის მართალი, თითქო ბოლშევიზმი ანგარიშს არ უწევდეს დღევანდელ ცხოვრების ობიექტიურ პირობებს და სოციალიზმის განხორციელების საქმეს მარტოოდენ სუბიექტიურ სურვილებზე ამყარებდენ.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ბოლშევიკურ მიმართულებას, როგორც ერთ ნაკადს მარქსისტულ მსოფლმხედველობისას, არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს არსებულ ეკონომიურ ცხოვრებას რომლის განვითარება განსაზღვრულ საფეხურამდე აუცილებელი პირობაა, ურომლისოთ შეუძლებელია ახალი წესწყობილების დამყარება.

მარტო რუსეთის სინამდვილეს რომ გულისხმობდენ ისინი, სოციალიზმისათვის ბრძოლაში დღესვე არ გაირთობდენ თავს, რადგან იმათაც კარგათ იციან ამ ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობის და გონებრივი სიბნელის ამბავი.

მთელი მათი იმედი და „სტოვკა“ ევროპის მოსალოდნელ მეშველ მოძრაობაზე იყო და არის დაფუძნებული.

რუსეთში იმათ მხოლოდ ცეცხლი დაანთეს, რომელსაც აქვს თვისება გადადების, სხვაგან გადასვლის.

ეს ცეცხლი, რუსეთში აღგზნებული, შესაძლოა იქ მალე ჩაქრეს, მაგრამ იგი ცეცხლი თუ ევროპას მოედვა, მისი გაანელება ეგებ ისე ადვილათ აღარ მოხერხდეს, ფიქრობენ ბოლშევიკები და თუ განათლებულ ქვეყნებში, სადაც სოციალიზმის განხორციელებისათვის მზათაა პირობები, ჩაეყარა საფუძველი ახალ წესწყობილებას, მაშინ ჩამორჩენილი ქვეყნებიც შეეთვისებიან და შეეგუებიან მომხდარ სოციალ-ეკონომიურ ცვლილებასო.

თვით კარლ მარქსიც ამნაირ შეხედულების იყო.

სოციალისტური წესწყობილების შემოღების შესახებ, ეკონომიურათ დაბალ საფეხურზე მდგომ ქვეყნებში.

ვინ არ იცის მარქსის აზრი ამ საკითხის შესახებ, გამოთქმული თავის პოლემიკურ წერილში მიხაილოვთან.

ჩვენ ვიცით, რომ ბოლშევიკების ცდა, ჩამორჩენილ რუსეთში ჯერ სოციალიზმის დამყარებისაკენ მიმართული, სრული ფიასკოთი დამთავრდა.

გამოცდილმა და „გამობრძენდილმა ევროპამაც აიცდინა რუსეთში ანთებული ცეცხლი, რომლის ალში მარტო ეს უცნაური და ათასგვარ „მოულოდნელობის მხარე იწვის და იხრაკება.

მაგრამ უნდა ითქვას ამ ცეცხლის გამჩაღებელთ ქონდათ, უსაზღვრო სურვილი უდრეკ ნებისყოფასთან ერთათ, გამოეწვიათ მათი შეხედულებით, კაპიტალიზმის გარდაქმნელი და გადამახალისებელი სოციალურ-პოლიტიკური გადატრიალება.

ჩვენებური მენშევიზმი კი წმინდა ქართულ ხასიათის სოციალ-პოლიტიკურ დოკტრინას წარმოადგენს.

ქართული პრაკტიკული მენშევიზმი, რუსულ ბოლშევიზმის შედარებით, უფრო დაშორებულია მარქსიზმს და სოციალიზმს.

ავილოთ ჩვენი მენშევიკების ეკონომიური და აგრალიური პოლიტიკა.

მარქსიზმის თვალსაზრისით სოციალიზმის წარმოშობს ეკონომიურათ უაღრესათ განვითარებული ქვეყანა.

ყოველი ძალა, რომელიც ხელს უშ-

ლის ფრთა გაშალოს და განვითარდეს თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების დამახასიათებელი საწარმოვო წესი, რეაქციონურ და რეტროგრადიულ ძალათ უნდა ჩათვალოს.

მარქსი ლიზუნგია კაპიტალიზმით სოციალიზმისაკენ.

ჩვენი მართველი სოციალისტურ პარტიის ეკონომიური პოლიტიკა ძირიან-ფესვიანათ სპობს საქართველოში იმ ძალას, რომელიც სხვა ჩვენზე უფრო დაწინაურებით და განათლებულ ქვეყნებში, საფუძველი საზოგადოების ნივთიერათ დაწინაურების და საერთო კეთილდღეობისა.

ჩვენში არა თუ კაპიტალისტურ წარმოებას, უბრალო საქონლის გაცვლა-გამოცვლის, რომელსაც ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, ეწოდება, ვერ მოუკიდია ფეხი, ჩვენი სოციალისტური მთავრობის უგნური ეკონომიური და ფინანსიური პოლიტიკის წყალობით.

ჩვენი მენშევიკების აგრარული პოლიტიკა ხომ ყოვლათ დასაგმობი და მარქსისტულ თვალსაზრით, მიუღებელი შეიქნა.

აგრარულ რეფორმას მიზნათ ქონდა ხალხის შელა, გაჭირებულთათვის ცხოვრების პირობების შემსუბუქება.

აღარ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ამ რეფორმამ ხალხს ვერაფერი შესძინა და ქვეყანას კი ბევრი უსიამოვნება და მრავალი შინაური თუ გარეგანი მტერი შესძინა.

მასთან იგი, ვაი, სირცხვილს, არც სოციალისტური ხასიათის ზომა შეიქნა.

ჩამორჩენილი მიწების კერძო საკუთრებათ გადაცემა მესაკუთრეთათვის ისიც სასყიდლით, ეს ხომ სოციალიზმის ნაცვლათ ინდივიდუალიზმის გამტკიცებას მოასწავებს. სასოფლო წარმოებაში კონცეტრაციის ნაცვლათ მიწის პარცელიზაციაას, დანაწილებას აკანონებს, ისიც ხელოვნურათ, ნაძალადევათ მოხდენილი. ამნაირ, სოციალიზმთან და მარქსიზმთან, შეუთავსებელია ჩვენი მენშევიკების პოლიტიკა წარმოებული ცხოვრების სხვა დარგებში.

სოციალისტური ფრაზეოლოგია და თუმცა ნაძალადევი, მაგრამ მაინც წმინდა წყლის ბურჟუაზიულ-ინდივიდუალისტური საქმიანობა აი რა ახასიათებს დღევანდელ ქართულ მენშევიზმს. სწორეთ ამაზე ითქმის „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა შუაში უზის დიდი ზღვარი“.

ალ. თორაძე.

პ რ ე ს ა.

საქართველოს დამოუკიდებლობა ახალი საფრთხის წინაშე სდგას. მოხალისეთა ჯარი რომელსაც მიზნათ დიდი და მთლიანი რუსეთის იდეის განაღდება დაუსახავს და, რომელსაც არ შეუძლია მოითმინოს საქართველოს სუვერენობა, საქართველოს-საზღვრებზე იარაღს აეღარუნებს. ასეთ ეროვნულ საფრთხის წინაშე საჭიროა ეროვნულ ფრონტის გაერთიანება, ყველა სასიცოცხლო ეროვნული ძალების გამოყენება, რომ თავხედმა მტერმა დროზე მიიღოს ღირსეული პასუხი.

ასეთ დროს ს.-ფედერალისტ. გაზეთი „სახალხო საქმე“ შინაური მტრების ძებნაშია. მართლაც თუ კი ზურგში მტერი არსებობს, ეს, რასაკვირველია, გაგვიძნელებს მტერთან ბრძოლას და ასეთი შინაური მტრები უსათუოდ დროზე აღმოჩენილნი უნდა იქნენ და მათ უნდა წაერთვას საშვალება იმ ეროვნული ძალების გაბათილების, რომელიც მოხალისეთა წინააღმდეგ იქნება მიმართული ასეთი „ძებნის“ წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვეთქმის. მაგრამ, საქმე იმაში გახლავთ, რომ „სახალხო საქმე“ ასეთ „მტრათ“ ჩვენი ეროვნული სხეულის ორგანიულ ნაწილს, „დიდ ნაწილს ქართველი მსხვილი, წვრილი და საშვალო ბურჯუაზიას“ სთვლის მოვუსმინოთ თვითონ გაზეთს:

> ჩვენ თამამად შეგვიძლიან აღვნუსხოთ, რომ დიდი ნაწილი ჩვენი მსხვილი საშუალო და წვრილი ბურჟუაზიისა, ანაციონალური ინტელიგენციის მეთაურობით სავსებით სდგას რეაქციის და საქართველოს დამოუკიდებლობის უარყოფის ნიადაგზე მათ სრულებით არაფერს ეუბნება რევოლიუცია და დემოკრატიზმი, ამათ ნიღაბი აიხადეს და დენიკინის ავანტიურაში ჰპოებენ შვებას.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როდის აბადეს მათ ნიღაბი და რა საბუთი აქვს „სახალხო საქმის“ პუბლიცისტებს, რომ ისეთი სოციალური კლასი, როგორიც ქართველი მსხვილი. საშუალო და წვრილი ბურჯუაზიას ანაციონალურ სულის კვეთებასა და იდეალებში ბრალი დასდოს და დენიკინის ავანტიურის ფარულ მოკავშირეთ გამოაცხადოს.

ჩვენ კი ვიცით, რომ ამ კლას, როდესაც ჩვენს ეროვნულ თვითარსებობას რომელიმე მხრიდან საფრთხე მოელოდა, სხვა სოციალურ კლასებთან პროპორციული მატერიალური და ფიზიკური სხვერპლი მიქონდა სამშობლოს სამსხვერპლოზე.

ახალი საფრთხე.

ჩრდილოეთის გენერლების წინააღმდეგ ძლიერი ფრონტის შექმნისათვის საქართველოს მთავრობა მოკავშირეების ძებნაშია. საფრთხე, რომელიც დენიკინის სახით მოევლინა კავკასიის ნორჩ სახელმწიფოებს, კავკასიის ყველა ერისათვის, თუ კი ეს ერები სწორათ გაიგებენ თავის დემოკრატიულ და ეროვნულ ინტერესებს, ერთნაირ საშიშროებას წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა იყო კავკასიაში ყველა ერის ერთად დარაზმვა, ერთი ფრონტის შექმნა, რომ მოხალისეთა გამოლაშქრებისათვის ამიერ-კავკასიისაკენ საჩქარო ლიკვიდაცია მოგვეხდინა. საქართველომ და აზერბეიჯანმა უკვე იგრძნეს საჭიროება ძალების გაერთიანების და ეროვნულ ინტერესების წინააღმდეგობის ლაბირინტში საერთო, ორივე სახელმწიფოსათვის გასაგები ენაც გამოინახა.

სომხეთის განზე განდგომას და შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს საკუთარი მიზეზები აქვს და საპატიო მიზნებიც, რომელიც ალბათ შემდეგში საკმაო სიაშკარავით გამომჟღავნდება. სომხური ეროვნული პოლიტიკა რუსული ორიენტაციის ზეგავლენით მუდამ კავკასიის პოლიტიკურ ერთეულების სუვერენობის წინააღმდეგ იყო მიმართული და მათ არც ახლა უღალატებს მრავალ-წლობით შექმნილ ტრადიციას.

სომხეთის არ შემოსვლამ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა სამხედრო კოალიციაში უფრო მორალური ზარალი მოგვიტანა, თორემ სომხეთის მილიტარულ ენერგიის წონა და ფასი ქართველმა ერმა ბორჩალოში გაიგო. ისინი ჩვენ არ გამოგვადგება მოკავშირეებათ, რადგანაც მათი ფარული სიმპატია ყოველთვის დენიკინისაკენ იყო და არის.

სომხებზე არა ნაკლებ საშიშროებას მოხალისეთა წინააღმდეგ ფრონტის სიმტკიცისათვის ის მუშათა ყრილობა წარმოადგენს, რომლის მოწვევა თფილისში იყო განზრახული. ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს მუშები ყოველმხრივ გაუმაგრებს ჩვენ მთავრობას ზურგს და მას მხარშიც ამოუდგება ამ ეროვნულ საფრთხის დასაძლევათ, მაგრამ მათ მუშაობაში უსათუოდ დისონასს შეიტანს ბოლშევიკურ ნიღაბს ამოფარებული მთლიანი რუსეთის იდეის მატარებელი ხალხი.

ბაქოს ბოლშევიკი დელეგატები უმრავლესობას შექმნიან ყრილობაზე და მოინდომებენ საქართველოში სამოქალაქო ომის და შინაური ანარქიის ცეცხლის აგუზგუზებას. ისინი ახალ ფრონტებს შექმნიან საქართველოში. და ხელსაყრელ მომენტში მმართველ პარტიის ფრაქციულ ჯავრს საქართველოზე ამოიყრიან. მენშევიკებს ადრევე უნდა ცოდნოდათ, რომ „ზოგიერთ კუზიანს ვერც საფლავი გაასწორებს“ და ბოლშევიკებს ვერც თფილისის ქუჩები შეუცვლიდა ბუნებას. მენშევიკებმა ბოლშევიკებზე „ცდა“ მოახდინეს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ „ცდით“ საქართველოს ახალი საფრთხე განუმზადეს. მთავრობას თუ კი მას არ უნდა ახალი საომარი ფრონტის გაჩენა ამ ახალ საფრთხეს თავის დროზე უნდა უყოს ლიკვიდაცია.

ნერონი.

ინგლისური პრესა.

საქ. დეპ. საგენტო.

ბელგიის მთავრობა და ხალხი ზარალის მომადგენელი ჩემ წინააღმდეგ, თუ ზევსი ესოდენ ჯავრობს, სჩანს ის მტყუანია, ყოველ შემთხვევაში პარნასზე ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. რა ვსთქვი ბოლოს და ბოლოს ჩემს რეპლიკაში? ვსთქვი, ბათომის დაკარგვისათვის ბევრს უნდა ეგო პასუხი აქამდის და ბევრია გასარეკი. გაბაშვილი იქნებოდა ეს, თუ „შვიდთა საბჭო“, მდივანი თუ მთავრობა, სულ ერთია: დამნაშავეს სასტიკი პასუხი უნდა ეგო და დამნაშავენი რომ ვართ ბათომის დაკარგვაში, ეს ცხადათ სჩანს თვით ჩხენკელის მოხსენებიდან, რომელიც მან წარუდგინა ეროვნულ საბჭოს ტრაპიზონდიდან დაბრუნებისთანავე. ჩხენკელმა სთქვა მაშინ „ჩვენ რომ დამოუკიდებლობა დროზე გამოგვეცხადებინა“ ჭკუით რომ ვყოფილიყავით იმდენი, რომ გვემუშავა საქართველოსათვის, რამდენიც სომხებისათვის, ბათომს არ დავკარგავდითო“. ეს ჩხენკელის სიტყვებია. ვიღაცამ, ბ-ნო საგარეო საქმეთა მინისტრო, უნდა აგოს პასუხი ამ დაკარგვისათვის ერის წინაშე? მიუდგომელი ისტორია გაგვასამართლებს და გამოუტანს დამნაშავეს თავის მსჯავრს. ეხლა კი არ არის დრო, რომ ამაზე მეტი ვილაპარაკოთ და ანგარიშები მოვთხოვოთ ერთმანეთს. რაც შეეხება ბ-ნ გეგეჭკორის განცხადებას, რომ მაჭავარიანმა ისეთი რამ გვირჩია, ყველაფერი დაგვეღუპებოდა იმისთვის რომ დაგვეჯერებინაო, უნდა მოგახსენოთ, მაჭავარიანისთვის რომ დაგეჯერებინათ, ჩხენკელის სიტყვის არ იყოს, ბათომს არ დაკარგავდით. ეს მეორედ მესმის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან, მაჭავარიანმა რაღაცა სთქვაო. რა? ვიცით რაზედ ლაპარაკობს ბ-ნი მინისტრი, ხოლო კატეგორიულად ვაცხადებ. რომ მე არც არასოდეს მითქვამს, არც დამიწერია არაფერი ისეთი, რაც ჩვენს ერს არ გამოადგებოდა. თუ ბ-ნი გეგეჭკორი გულისხმობს იმ ჯგუფს რომელიც მუშაობდა ვითომდა სტამბოლში (ხმა: ვითომდა(კ?), მე უნდა განვიცხადო, რომ ამის შესახებ ჩვენმა პარტიამ იმდენი იცის, რამდენიც თქვენ. ბ ნ გვაზავს განცხადება ადგილიდან ეს ჯგუფი ჩამოგვშორდაო, სტამბოლის ჯგუფს არ გულისხმობდა. ეს იქნებოდა შეცდომა და სამართლის დამახინჯება. იმ ჯგუფს, რომელიც მოქმედობდა სტამბოლში სრულებით არავითარი კავშირი ჩვენ პარტიასთან არასოდეს არ ჰქონია. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ჩამოშორდა მხოლოდ ის ჯგუფი. „კლდის“ სახელით რომ მოინათლა. ამ „კლდემ“ მხოლოდ შემდეგ შეითვისა ერთი წარმომადგენელი სტამბოლის ჯგუფის და დაბეჭდა რაღაც უცნაური წერილი. მაგრამ ეს ფრთა, გარწმუნებთ, იმდენად შორს არის ჩვენგან, რამდენადაც ლენინია თქვენზე დაშორებული. ეს კარგად იცის გარეშე საქმეთა მინისტრმა, მაგრამ მთავრობის წარმომადგენელი მაინც ცდილობს, რომ მოგვახვიოს ჩვენ თავს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაღუპავდა ქართველ ერს. ეს ტყუილი ცდა არის. ბ-ნი გეგეჭკორი ამ ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობს ბრესტზე. ის კი ავიწყოება, რომ თუ ბრესტში მონაწილეობას იღებდა ან პოლონეთი ან ფინლიანდია, ამით არც ერთს მათგანს არაფერი დაშავებია. ბრესტის ზავში მონაწილეობის მიღებისათვის ვერც ამერიკა, ვერც ინგლისი თავისუფლებას ვერ მოაკლებს ვერც ფინლიანდიას. ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრს ეს უნდა ესმოდნს. მაგრამ თქვენ გსურთ თავიც გაიმართლოთ და თქვენი მოპირდაპირე პარტიაც მიღაცის თვალში დაამცირეთ. მაგრამ ამაოდ. სიმართლე მაინც თავისას ღაღადებს; იმ მომენტში, როდესაც ძლევამოსილი გერმანია შემოდიოდა ამიერ-კავკასიაში, ქართველ ერისთავის არ არსებობდა არავითარი სხვა გზა. ოსმალეთი გვიქადდა წალეკას. და იმ პარტიის პოლიტიკა, რომელმაც მოიყვანა ფონ-კრესი და გერმანეთის ჯარი გამოიყენა ფარად საქართველოსთვის ოსმალეთის წინააღმდეგ მხოლოდ მადლობის ღირსი უნდა იყოს, ვინაიდან ამით გადავარჩინეთ ქართველი ერი ოსმალებთა წარღვნისა და განადგურებისაგან. ინგლისის ხმალი მაშინ შორს იყო, გერმანელების ფოლადი აქ და განა უფლება აქვს ან ინგლისს, ან ამერიკას, ან საფრანგეთს უსაყვედუროს ქართველ ერს იმისთვის, რომ მან მიიღო საჭირო ზომები თავის ფიზიკურ არსებობის დასაცავად? რასაკვირველია არა.

ერის სიცოცხლის უფლების წართმევის ნება არავის არა აქვს, და ჩვენ უნდა მივეცეთ სწორედ ის ზომები, რომელთა საშვალებით გადავარჩენდით ჩვენს ქვეყანას აკლებისაგან და მოვაწესრიგებდით ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. რაც შეეხება თუ იმას, რომელ პარტიის პოლიტიკა უფრო სწორი გამოდგა უნდა მოგახსენოთ, რომ სოციალ დემოკრატია ხშირად მოქმედობს

იოსებ მაჭავარიანის სიტყვა.

თქმული დამფუძნებელ კრებაზე 17 თიბათვის სხდომაზე.

(სტენოგრამა).

დამფუძნებელ კრების წევრნო, ჩვენ ისეთ საფრთხის წინაშე ვდგევართ, რომ მთელმა ერმა უნდა დაიკრიფოს მთელი თავისი ენერგია, დასჭიმოს მთელი თავისი ძარღვები, მოახდინოს მობილიზაცია მთელ თავის სულიერ, ქონებრივ და გონებრივი ალებისა და ამრიგად დარაზმული თავისუფლების და ეროვნულ ღირსების დასაცავად მთავრობას უნდა მხარში ამოუდგეს. ასეთ მომენტში ცივ გონებას და ანთებულ პატრიოტიზმით გამოწვეულ ენტუზიაზმს უნდა ჰქონდეს ადგილი. ზედმეტი აღელვება მხოლოდ ჩრდილს აყრებს გონებას და დამარცხების უფსკრულისკენ იზიდავს მებრძოლს. და არც საჭიროა იყო დღეს აქ ისეთი აღელვება, როლის მოწამენიც ჩვენ გავხდით. მეტათ ვწუხვარ, რომ ამ დიდმნიშვნელოვანმა საკითხმა და მთავრობის პოლიტიკის კრიტიკამ ასეთი პარტიული უადგილო ჟინკლაობა გამოიწვია. ახლა დრო არ არის პარტიულ ანგარიშებისა. მე არ გამოვიდოდი დღეს.

(ხმა: გეაზავა რომ არ გამოსულიყო) რომ მთავრობის წარმომადგენელს არ ენება და თავის სიტყვაში ესოდენ უსაფუძვლოდ ორჯელ არ მომწვდენო. და პირადათ ე. მე ხომ არ გამილაშქრია არც მთავრობის, არც რომელიმე პარტიის წინააღმდეგ? მხოლოდ, თუ ჩემმა რეპლიკამ ასე აამხედრა მთავრობის წარმეთა მინისტრისაგან, მაჭავარიანმა რაღაცა სთქვაო. რა? ვიცით რაზედ ლაპარაკობს ბ-ნი მინისტრი, ხოლო კატეგორიულად ვაცხადებ. რომ მე არც არასოდეს მითქვამს, არც დამიწერია არაფერი ისეთი, რაც ჩვენს ერს არ გამოადგებოდა. თუ ბ-ნი გეგეჭკორი გულისხმობს იმ ჯგუფს რომელიც მუშაობდა ვითომდა სტამბოლში (ხმა: ვითომდა(კ?), მე უნდა განვიცხადო, რომ ამის შესახებ ჩვენმა პარტიამ იმდენი იცის, რამდენიც თქვენ. ბ ნ გვაზავს განცხადება ადგილიდან ეს ჯგუფი ჩამოგვშორდაო, სტამბოლის ჯგუფს არ გულისხმობდა. ეს იქნებოდა შეცდომა და სამართლის დამახინჯება. იმ ჯგუფს, რომელიც მოქმედობდა სტამბოლში სრულებით არავითარი კავშირი ჩვენ პარტიასთან არასოდეს არ ჰქონია. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ჩამოშორდა მხოლოდ ის ჯგუფი. „კლდის“ სახელით რომ მოინათლა. ამ „კლდემ“ მხოლოდ შემდეგ შეითვისა ერთი წარმომადგენელი სტამბოლის ჯგუფის და დაბეჭდა რაღაც უცნაური წერილი. მაგრამ ეს ფრთა, გარწმუნებთ, იმდენად შორს არის ჩვენგან, რამდენადაც ლენინია თქვენზე დაშორებული. ეს კარგად იცის გარეშე საქმეთა მინისტრმა, მაგრამ მთავრობის წარმომადგენელი მაინც ცდილობს, რომ მოგვახვიოს ჩვენ თავს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაღუპავდა ქართველ ერს. ეს ტყუილი ცდა არის. ბ-ნი გეგეჭკორი ამ ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობს ბრესტზე. ის კი ავიწყოება, რომ თუ ბრესტში მონაწილეობას იღებდა ან პოლონეთი ან ფინლიანდია, ამით არც ერთს მათგანს

ანაზღაურებამდე და დახმარების მიღებამდე ენერგიულათ შეუდგა განადგურებულ ოლქების აღდგენას. აკეთებენ გზებს, აშენებენ დანგრეულ შენობებს, აშრობენ წყლისაგან დაფარულ ადგილებს და ამუშავებენ მიდვრებს, მიუხედავათ ხელფასის და ცხოვრების ვაძვირებისა, გადასახადების გადიდებისა და ამით გამოწვეულ უკმაყოფილებისა, ცხოვრება ნელნელა ჩვეულებრივ კალაპოტში სდგება. მეფე ალბერტი პირადათ ნახულობს მექარხნეებს და მათ აიძულებს, რომ ამუშავონ ქარხნები, რათა 150,000 უმუშევარს საქმე გაუჩნდეს. სხვა მთავრობები თუ დახმარებას უცდიან, ბელგია ეხლავე შეუდგა მუშაობას. არ შეიძლებოდა, რომ ამას შთაბეჭდილება არ მოეხდინა პრეზიდენტ ვილსონზე, რომელმაც ზღვის ნაპირის შემდეგ ქალაქებში გაიარა: ბრიუგე, გენტი, ბრიუსელი, ლიჟი, სპა, ნამი. ური, დიჟონი. მაინი და შარლერუა. ყველგან სულიერი განწყობილება კარგია. ვილსონის ბელგიაში მოსვლა მეფე ალბერსტ საშვალებას მისცემს, სისრულეში მოიყვანოს თავის დიდი ხნის სურვილი ამერიკაში მოგზავრობისა.

ფრანგი დიპლომატები ირწმუნებიან, რომ საზავო ხელშეკრულებას გერმანელები ხელს მოაწერენ, სამხედრო მოქმედების დასაწყებად ყველა წინასწარი ზომები უკვე მიღებულია, შინაურ მდგომარეობას დაკმაყოფილებულად სთვლიან. კლემანსო და ფოში დარწმუნებულნი არიან, რომ ძლიერი ფრონტი შექმნილია. მალაროს მუშების გაფიცვა დამთავრდა.

რუსეთის პოლიტიკის შესახებ შეკითხვის განხილვის დროს პიშონმა გაიმარჯვა. კლემანსომ სრული თავისუფლება მიანიჭა მას ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედებაში. ფრანგებს აგრეთვე ისიც უკეთებს გულს, რომ საზაო ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, რისაც ძალიან ეშინოდათ, რადგან ოთხთა საბჭოს მუშაობა საიდუმლოებით იყო მოცული. ამ ჟამად, ვიდრე პრეზიდენტი ვილსონი ბელგიაშია, ლოიდ ჯორჯი—ვერდენში და ორლანდო — იტალიაში, კლემანსო სავსებით შინაურ საქმეებით არის დაბანდებული. მრავალმა კომისიამ კი მუშაობა შესწყვიტა და დაისვენა. გერმანიის მთავრობამ შეიგნო, რომ მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუხლია ძალა-უფლების შერჩენა, თუ მოკავშირეთა პირობებს მიიღებს. გერმანიის ეხლანდელ დელეგაციის წევრებმა უარი განაცხადეს თავის გვარები მოეწერნათ იმ ხელშეკრულების ქვეშ, რომელიც გერმანიასთვის სამართლიან სასჯელს მოითხოვს მის მიერ ომის დროს ჩადენილ დანიშნულობისათვის. კაბინეთსაც ეშინია ასეთი პასუხის მგებლობის თავის თავზე მიღებისა.

ავსტრიის დელეგაციის თავმჯდომრის რმნნერის პასუხი ვილისონის და ლოიდ-ჯორჯის პარიზში დაბრუნების დროისთვის მზათ იქნება. წერილის კილო მოწმობს, რომ ავსტრიელებს იმედი აქვთ დათმობებისა.

ბალშევიკების აჯანყება ვენაში სწრაფათ ჩააქრეს.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

საღამო. ხუთშაბათს 26 ივნისს ქალაქის თეატრში გაიმართება საღამო. მონაწილეობას ღებულობენ: გოგიტა ფალავა (სიტყვა); ვალერიან გაფრინდაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, რაჟდენ გვეტაძე, ვარლამ რუხაძე, გიორგი ქუჩიშვილი, სერგო კლდიაშვილი, გელა და ირა.

✦ კონცერტი. შაბათს, 28 ივნისს ქალაქის თეატრში თფილისის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა მიერ გაიმართება კონცერტი. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“-დან ორი განყოფილება. „შოთა რუსთაველი“-დან რომანსები. ბალანჩივაძის „თამარ ცბიერი“-დან რომანსები და არიები.

✦ კომისრის დანიშვნა. ტყიბულის რაიონის კომისარი დანიშნა ვანის რაიონის კომისრათ, მის ადგილზე ჯანაშია.

ჩვენი პროგრამის მიხედვით, და თუ რამე კარგი კეთდება, მაშინ, როდესაც მესვეური პარტია მიდის იმ გზით, რომელიც ჩვენ ადრე გვიჩვენებია აქედან ცხადია, ვისი პოლიტიკაა სალი და სწორი. თქვენი შეცდომების ჩამოთვლას მე დღეს არ შევუდგები. მაგრამ არ შემიძლია დღევანდელ დღეს არ გავიხსენო ერთი მომენტი ჩვენი პარლამენტის ცხოვრებიდან. იმ დროს, როდესაც აქედან ლაპარაკობდა დაშნაკელის წარმომადგენელი, ზორიანი თუ დავითხანიანცი, კარგად არ მახსოვს, მან სთქვა, „როდესაც დენიკინი საქართველოს წინააღმდეგ გამოიალაშქრებს, ჩვენ სომხები ჩვენი მკერდით დავიცავთ საქართველოს დენიკინისაგანო და თქვენ კი ეროვნულ დემოკრატები დენიკინს მხარს დაუჭერთო“ როდესაც მან ეს ცინიკური ციდისწამება გვესროლა ჩვენ ამ ტრიბუნიდან, თქვენ და მთავრობამ, თანახმის ნიშნად, მხურვალე ტაშის-ცემით დააჯილდოვეთ ეს სომეხი ორატორი. თქვენ გჯეროდათ მისი. თქვენ იმ ტაშით გინდოდათ ხალხი დაგერწმუნებინათ, რომ ჩვენ ეროვნულ-დემოკრატები სამშობლოს ვუღალატებდით, სომხები კი საქართველოს დაიცავდნენ დენიკინისაგან თავის დაშნაკური მკერდით. ეს იყო და ასეთია თქვენი პოლიტიკა. დიდი ანგარიშები გვაქვს ერთმანეთთან, ბევრი გვაქვს საქმე პარაკო, მაგრამ ეხლა დრო არ არის. იდღეს მე მოვითხოვ, რომ დამფუძნებელი კრება შეხვდეს აღძრულ საკითხს ისე, როგორც შეეფერება კრების უდიდებულესობას და როგორც მოითხოვს ამას ახელმწიფოს საჭიროება დამშვიდებით, აულღვეველად უნდა მივიღოთ თავდაცვის ჩაკირული ზომები. შეერთებული ძალებით უნდა დავხვდეთ საქართველოზე მოსეულ მტერს და გავსცეთ ისეთი პასუხი, რომელიც სასიცოცხლო ინტერესი. საჭიროა რომ გაიგონ ჩვენმა შინაურმა და გარეშე მტრებმა, რომ ქართველი ერი დგას თავის მთავრობის გვერში და თავისუფლებიდან ერთი იოტის ოდენა მანძილსაც ცოცხალი არ დაუთმობს არავითარ ძალას, რა სახითაც არ უნდა მოგვევლინოს იგი, საქართველო ვერ დაუთმობს ვერავის თავის სამაჰმადიანო ნაწილს. ბათომში, სოჩის და სხვა ფრონტებზე ჩვენ უნდა ადვაკვეთოთ მტერთა ბოროტი განზრახვანი და შევაჩეროთ მათი მოქმედება. შემოხიზნულ მტრებისაგან უნდა გავსწმინდოთ დაუყონებლივ საქართველო და უპირველეს ყოვლისა ჩვენი დედა ქალაქი. ამ დიად საქმეში, ბ-ნო მთავრობის წარმომადგენელო მთელი ქართველი ერი, გასალკდევებული და ერთი მისწრაფებით შედულებული თქვენთან იქნება. არა ერთხელ დაგვიმტკიცებია და დაგიმტკიცებთ კიდევაც, რომ ბრასოდეს არ ვცდებოდით ჩვენს პოლიტიკაში, და თუ თქვენ გაწევთ კისერზე ესა თუ ის შეცდომანი, ეს მხოლოდ თქვენი პოლიტიკის ბრალია და არა ჩვენი პარტიის პოლიტიკისა.

პატარა ფელეტონი.

„ფართუკიანა“ სოციალისტები!

ჯერ კიდევ სანამ ოსმალეთიდან საქართველოში გადმოვსახლდებოდი, გამიგონია, რომ გურჯისტანში ყველა სოციალისტებიაო:

ექიმი,
ვექილი,
მასწავლებელი,
მოწაფე,
მოსამართლე,
მოხელე,
ვაჭარი,
ნოქარი,
სახლის პატრონი,
დამქირავებელი,
და ქალებიც კი...

ყველაფერი მაგრამ ვერ წარმომედგინა ქალების სოციალისტობა, რადგანაც ჩვენში ქალები სოციალისტობას კი არა—მამაკაცებს პირის სახესაც არ აჩვენებენ ხოლმე.

როგორც ისტორიიდან ვიცი ძველად გურჯისტანში ქალები არ იყვნენ სოციალისტები. ზრდიდნენ გმირ შვილებს და მტერთან საბრძოლველად გზავნიდნენ.

ეხლა კი. როგორც ჩემი თვალებით ვნახე ასულნი გურჯისტანისა მარქსის სურათებზე და წითელ დროშებზე ლოცულობენ და ეჯავრებათ ყველა არა სოციალისტები:

როგორც ქალები,
ისე კაცებიც!

ასეთია პირველი სურათი.

მაგრამ თურმე რის სოციალიზმი.

მე გურჯისტანში გადმოსახლებისას ერთი ახალგაზდა ქალი გავიცანი. იგი შეყვარებული იყო. უყვარდა ერთი ჟურნალისტი და ის ჟურნალისტი, რომელსაც მე დავუმეგობრდი თავს ევლებოდა თავის შეყვარებულს.

დრო გადიოდა და სიყვარული ისე იწვებოდა, როგორც რევოლიუციონური დროშები.

ერთხელ ბაღში მარტოთ გამოვედი.

ჩემი ნაცნობი ქალი ვიღაც ვაჭრის შვილს სიყვარულს ეფიცებოდა.

— კი მაგრამ შენ ხომ შეყვარებული ხარ,—მიუგო ყმაწვილმა.

— ვიზე?!

— აი იმ ჟურნალისტზე.

— ხა, ხა, ხა, ხა. ვატყვილებდი...

— როგორ თუ ატყვილებდით. მას ხომ უყვარხართ თქვენ ხომ სულ ერთად დაიარებოდით?

— მერე რა მოხდა. მას ერთი წვერ გაცვეთილი კალმის მეტი არა აბადია რა? აბა რათ მინდა იგი. თქვენ კი მილიონერი ხართ. თქვენ ისე შეგიყვარებთ როგორც მამა თქვენს ყუთში შენახული ოქროები უყვარს.

— არა ეს არ შეიძლება. მას თქვენ ხომ საკუთარ ვარსკვლავად სთვლიდით.

— მაგრამ ის ვარსკვლავი ცის კაბადონს უკვე მოსწყდა და მის ნაცვლად ისახება ახალი ვარსკვლავი და ეს ვარსკვლავი თქვენ ხართ...

ასეთი ყოფილა აქაური ქალები.

მამაკაცებზე ნულარ იკითხავთ.

გუშინ მე და ერთი ცნობილი მწერალი გზაზე მივდიოდით.

ქვაფენილზე დამდგარიყო ერთი ჩასუქებული „ფართუკიანი“ კაცი, გარს ხალხი შემოეკრიბა და გაჰკიოდა:—

ერ.-დ-ბი ხულიგნები არიან. მოღალატეები, დენიკინის მომხრეები, ნიკოლოზის გაცოცხლება სურთ, ჩვენს დამოუკიდებლობას ებრძვიან.

— ვინ მოგახსენათ!.. შეეკითხა ჩემი თანამგზავრი მწერალი, არა გრცხვენიათ?

— ვინ ხარ შენ [illegible] ლი?

ა. ვინ ხარ!..

— მე ია ეკალაძე ვარ.

ქვაფენილზე მდგომი ჩასიქებული ფართუკიანი შეჩერდა. ენა ჩაუვარდა.

— არა მითხარი ვინ გითხრა, ვინ გასწავლა ეს სიტყვები აქ რომ ყბედობ!?.

— აბა რა ვიცი შენი ჭირიმე. მე მუშა ვარ. იმ დღეს ჩვენს კლუბში დაგვიბარეს. აი დემოკრატების კლუბი რომ არის. გამოვიდენ მოქადაგეები და იმას გაიძახოდენ რასაც აქ მე ვაბობდი. თან დაგვავალეს, რომ ეს სიტყვები ხშირათ ვილაპარაკოთ. აი ეს მოწმობაც, კლუბიდან მოგვცეს.

შეინახე, შეინახე, ყბედობას თავი დაანებე და თუთიყუშივით ნუ იმეორებ ყველაფერს რასაც გაიგონებ.

და გზას გავუდექით...

თურმე გურჯისტანში ყველა ისეთი სოციალისტი ყოფილა როგორც „ფართუკიანი“ ჩასუქებული.

და მე აქ არ დამედგომება...

დიდი ხანია მინდოდა მოვმორებოდი გურჯისტანს და კვლავ ოსმალეთს გადავსახლებულიყავი, მაგრამ სარედაქციო კოლეგია, რომელმაც ფელეტონების წერა მომანდო, ფელეტონისტის ძებნაში იყო და გამონახა კიდეც.

დღეიდან ჩემს ფელეტონს ველარ წაიკითხავენ ჩემი მკითხველები...

და როგორც გავიგე ბევრს უნდა დასტოვონ გურჯისტანი და სადღაც გადასახლდენ ძაგრამ ყველას ორი სამშობლო არა აქვს.

და სოციალისტურ გურჯისტანში ძნელია ცხოვრება!..

ისკანდერ-ბეგ.

პრესის თავისუფლება.

რედაქციისაგან.

საზოგადოთ ცნობილია, რომ ეხლა პრესის თავისუფლებაა. სწერს ყველა. სწერენ ყველაფერზე. სწერენ იმაზედაც, რის წარმოდგენაც არა აქვთ.

ასეთია გაზ. „სოც. დემოკრატი“.

ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, რაც უნდათ ის სწერონ თავიანთ ორგანოში, მაგრამ ვშიშობთ ამ „წერილებმა“ მგოსნობაც არ მოინდომონ და ლექსების წერაც არ დაიწყონ.

და ჩვენი რედაქციის საქმეებში ხელის ფათურს არავის ვსთხოვთ.

თუ რა პირობებში იმყოფებიან ჩვენი ასოთ ამწყობები ამაზე კამათს არ ავსტეხთ. ნახეთ რა ბედი ეწვიათ აწ უკვე მიძინებული ორი გაზეთის მუშებს ქუთაისში და შემდეგ იმსჯელეთ.

დღეს არც ერთ ორგანოს, სახელმწიფოს არც ერთი დაწესებულებების მოხელეებს ჩვენი ქვეყნის ფინანსიური ცუდი მდგომარეობის გამო საშვალება არა აქვთ ჯამაგირები დროზე მიიღონ.

მასწავლებლები, სხვა და სხვა დაწესებულებათა მოხელეები და თვით ადმინისტრაციის მოხელენიც მთელი თვეობით შიმშილს განიცდიან.

მიუხედავათ ამისა ჩვენი რედაქცია ყოველთვის დროზე აძლევდა ასოთ-ამწყობთ ჯამაგირებს და თუ იქნებოდა ისეთი შემთხვევა, რომ ორი დღე დაგვიგვიანდებოდა,—ისინი გაფიცვით გვემუქრებოდენ და გვემუქრებიან ეხლაც.

ამ გაფიცვებმა და გადაჭარბებულმა მადამ დაასუსტა ეკონომიურათ ჩვენი სახელმწიფო, მაგრამ არიან ისეთი „პოლი-

ტიკოსებიც“ კი, — ოლონდაც კუჭი გაიძღონ, უზრუნველყონ „მუშები“ და ქვეყანა და საზოგადო საქმე ფეხებზე ჰკიდიათ.

ჩვენ „სოც.-დემოკრატში“ მოთავსებულ წერილს ანგარიშს არ გავუწევდით, მაგრამ საქმის უცნობი პირები, როდესაც ჩვენი რედაქციის საქმეებში ხელს აფათურებენ—არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არ ვსთქვათ.

ჩვენ ასოთ-ამწყობთ და საერთოდ მუშებს ცუდათ არასოდეს არ მოვქცევივართ. ჩვენ გვესმის ვის როგორ უნდა მოვეპყრათ, მაგრამ კარგი იქნებოდა თვით ამ „პწერლებს“ რაიმე ეთქვათ ჩვენს მუშებზედაც.

როგორ მუშაობენ ისინი და როგორი დამოკიდებულება აქვთ რედაქციასთან.

რომ სიტყვა არ გაგვიგძელდეს ჩვენ მოვითხოვთ ერთი ან ორი საათით შემოიარონ დაინტერესებულმა პირებმა, თუ გნებავთ ბ. შრომის კომისარმაც „ძმობის“ სტამბაში და თვალი ადევნონ მუშების საქციელს.

სამეგრელო.

(ეკონომიური ვითარება).

ყველასაგან ცნობილია, რომ სამეგრელო სიმიდით განთქმული და მდიდარი ქვეყანაა. თქვენ გადაავლეთ თვალი 1913 და 1914 წწ. გატანილ საქონელთა რაოდენობას, განსაკუთრებით სიმიდის რაოდენობას (იხ. ცნობები დ. აბიშის რკგზის სადგურში). და მაშინ ადვილად დარწმუნდებით, თუ რაოდენ სურსათს აწვდიდა ეს მხარე საქართველოს კუთხეებს თუ სხვა მხარეებს. სამეგრელო ეგ საქართველოსთვის ნამდვილი „სიმიდის ბელელი“ იყო მაგრამ ევროპაში დანთებულმა ცეცხლმა და მასთან ომში რუსეთის მერ ჩარევამ არია ეკონომიური ცხოვრების მსვლელობა და აქედან თავისი გავლენა, მან სამეგრელოსაც დააჩინა... სამეგრელოს მუშა ხელი, სოფელს მოაკლდა კლეხობა ჯარში გაჰყავდათ, სოფელი დაიცალა მისი შვილი—მუშა გლეხობისგან და ამან გამოიწვია სურსათ-სანოვაგის სიძვირე, სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა და ბოლოს კი სპეკულიაცია .. მთელი თავისი საშინელებით. მთავრობისგანაც არ იყო მიქცეული ამ მოვლენაზე დიდი ყურადღება და ამან და სხვა პირობებმა რუსეთი დაღუპა... ამ მოვლენათ პრცესში სამეგრელო დიდ გაჭივრებს განიცდის სამეგრელოში სიმშილი, წყურვილი და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა იჩენს თავს... მაგრამ სამეგრელო, როგორც ყოველთვის ითმენდა, ითმენს ამ საკითხს მაგრამ არა იმ იმედით, რომ ეს საკითხი მას ოდნავათაც არ აინტერესებს, არა პირიქით ის შეგნებით ვდებოდა საკითხს და ითმენდა უფრო იმ იმედით, რომ მალე ხვალ ან ზეგ გაიოაკეთებენ მესვეური პირები ჩვენს მდგომარეობასა. რევოლიუცია... სურსათ-სანოვაგის საქმეს უფრო ამწვავებს და ბოლოს ჩვენ ისტორიულ ფაქტის წინაშედგვაყენა რევოლ. გამოსვლებმა „ბოლშევიკები“ სამ და ჩვენ ვხვდებით დამოუკიდებელი ერთგული, დამოუკიდებელი სახელმწიფო და ჩვენივე ხელით უნდა გვეწარმოებია, როგორც ყველა დარგი პოლიტიკისა, ისე სასურსათო საქმეც... მაგრამ აქ დიდი დაბრკოლებები გადაეღობა მთავრობასაც და ხალხსაც... საშინაო თუ საგარეო ომი ხაქართველოს არსებობისთვის მიმართული... უფრო ამწვავებდა ამ საკითხს და ბოლოს, როგორც იყო მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა, მაგრამ აქ არ შეგვიძლია არ ვუსაყვედურეთ მართველობასაც, რომ ღირსეულად ვერ აუღო ალღო სასურსათო საქმეს და მიზანშეწონილობას. ეხლა გადვიდეთ სამეგრელოს ცხოვრებაზე. სამეგრელოს გლეხობა, დაუბრუნდა რა შედარებით ნორმალურ ცხოვრებას, კიდებს ხელს თავის ჩვეულებრივ საქმეს. სამხიარულო ის არის, რომ ხალხი უფრო შეგნებითა და ხალისით ამუშავებს ყანებს არ დარჩენილა არც ერთი ტკაველი მიწა, რომ არ იყოს დამუშავებული, მხოლოდ ცოტაოდენი არევ დარევა შეიტანა ნიწის რეფორმამ... მაგრამ შედარებით ნამუშევარი კარგ იმედებს იძლეოდა,. მაგრამ, როგორც გაგიგონიათ „საწყალ კაცს ქვა აღმართზე მიეწევაო“ ასე მოხდა სწორედ სამეგრელოს გლეხობის ცხოვრების ისტორიაში თითქმის ხუთმეტი დღეა რაც დაიწყო უზომო წვიმები, სეტყვა და ვინ იცის, რა. წვიმამ და ღვარმა დაჰფარა თითქმის ყველა ნათესი, დაიღუპა ნაშრომი მეგრელ გლეხობისა, განადგურდა „ოქრო“ს ყანები, რომელიც ზოგან ნახევარი არშინიც იყო.

გლეხები სასოწარკვეთილებაში ჩავარდენ და არ იციან თუ რა ქნან. მძიმე და აუტანელია მდგომარეობა, თუ ამ სახით გაგრძელდა ესათუოდ აქეთკენ ხალხი დაიმშევა და დადგება აუტანელი ჯოჯოხეთური მდგომარეობა ვნახოთ თუ რა მოყვება ამ უამინდობას. შეიძლება გამოიდაროს, მაგრამ როდის, როდესაც ყანების თესვა ეხლაც ნაგვიანევი იყო. თუ ასე გაგრძელდა, ისედაც არეული სასურსათო მდგომარეობა უფრო აირევა, და ეს საფთხეს უმზადებს ჩვენს არსებობას.

ვ. წულეისკირი.

გოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. ივნისის 22. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

მოსკოვი. ივნისის 22. (დასაწყისი არ არის მიღებული). შავ ზღვაზე ოდესა-ხერსონ-ნიკოლაევის შუა გემების მიმოსვლა დაიწყო. მცხოვრებნი პოლონელებისადმი ძალიან მტრულად არიან განწყობილი. გლეხები, რაც მოხვდებათ, იმით იარაღდებიან და პოლონელებს ამარცხებენ. პროვინციიდან მოსული ცნობებით, დენიკინთან საბრძოლველათ მობილიზაცია კარგათ მიდის. ოდესაში აუარებელმა ჯარში გაწვეულებმა მოიყარა თავი. შესდგა და ფრონტზე მიდის ებრაელთა რაზმები. კრემენჩუგის მაზრაში გლეხებმა რევოლუციისთვის ყველა დამცველთა მობილიზაცია გამოაცხადეს.

ოლენეცი. ივნისის 21. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით ფუსტოზირო ნიკიფოროვსკაია, პუშვი და ფიასბლბჩოვო დაიპირა.

ნაუენი. ივნისის 21. ეფურტის რკინის გზის მუშათა შორის არეულობა შესწყდა-პრუსიის მინისტრმა მოითხოვა, რომ ერფურტიდან გაიყვანონ მთავრობის ჯარი, რომელმაც ვეიმარის ერთ პოლკში აჯანყება გამოიწვია. არეულობა ჩაქრეს, მაგრამ მეორე დღეს ვეიმარის რკინის გზის მუშებმა და მოსამსახურეებმა ნაწილმა გაფიცვა გამოაცხადა, ერფრუტის საქმეებში მთავრობის ჯარის ჩარევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნათ, რის გამო რკინის გზის მიმოსვლა შესწყდა. ვენაში გავფიცვები დაიწყო.

ლიონი. ივნისის 20. საფრანგეთის ჩრდილოეთის დეპარტამენტის მაღაროს მუშების გაფიცვა დასრულდა. მთელ ოლქში მუშაობა განახლდა. უოლშმა და დენნმა ამერიკის საზავო დელეგაციის სახელით ლოიდ-ჯორჯს მიმართეს წერილით, სადაც მოითხოვენ ციხიდან განთავისუფლებულ იქნეს სანფეინერფების ლიდერი, ირლანდიის პარლამენტის წევრი ქ-ნი მარკევიჩი.

ლიონი. ივნისის 20. მარკიზ დე-ლა ტორკტო პოლონეთში იტალიის ელჩათ დაინიშნა. სკრუმუნდი იტალიამ პოლონეთის წარმომადგენლად დაინიშნა. რომიდან იუწყებიან, რომ მთავრობა გადადგა.

მოსკოვი. ივნისის 22. ყველას! სახალხო კომისარიატის სახელით წინადადება მიეცათ ადგილობრივ საბჭოებს, რომ საგენტოს დეპეშები, რომელნიც მათ მოსდით, წესიერათ გადასცენ ყველა მნიშვნელოვან პუნქტებში, დაბებში, სოფლებში და საქარხნო ცენტრებში, თუ შესაძლებელია ტელეფონითაც. შედეგი აუწყეთ რადიო ტელეგრაფის განყოფილებას.

კორესპოდენცია.

ქ. ყვირილა (ზესტაფონი).

კვირას ივნისის 15 ქ. ყვირილის საკრებულო დარბაზში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ და დამფუძნებელი კრების წევრმა ბ. სპირდონ კედიამ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „საზავო კონფერენცია და საქართველოს პოლიტიკა“. ხალხი ბლომად დაესწრო. დასაჯდომი ადგილი, რომ აღარ იყო და დარბაზში ხალხი კარებში იდგნენ. მომხსენებელმა სხვათა შორის აღნიშნა: „დღეს მთელი მსოფლიო იყურება ორი ცენტრისაკენ: ბოლშევიკური მოსკოვისაკენ და დემოკრატიული პარიზისაკენ. გადამწყვეტ როლს კი თამაშობს გამარჯვებული ქვეყნები: ინგლისი, ამერიკა და საფრანგეთი. ჩვენი ე. ი. საქართველოს არსებობის საკითხიც იმათზე კიდია. ჩვენ ისე უნდა წაგვეყვანა საქმე, მათდამი მეტი სიმპატია დაგვემსახურებია რომ მათ ეცნოთ ჩვენი დამოუკიდებლობა და საფრთხე თავიდან აგვეცილებია. ამ მხრივ სოციალისტურ მთავრობას არაფერი გაუკეთებია. ისინი, როგორც ბოლშევიკების ძმები უფრო მოსკოვისაკენ იყურებიან ვიდრე პარიზისაკენ და იმედი აქვთ ბოლშევიკების გამარჯვებისა. ბოლშევიზმი კი უდღეური ბავშია, რომელიც მოკვდება და მის ადგილას აღმოცენდება საღი სახელმწიფოს იდეალი. ეს იქიდან სჩანს, რომ გერმანიაში სპარტაკელები დამარცხდენ და რუსეთის ბოლშევიკებს ყოველი კუთხიდან ერტყმიან. დასასრულ მომხსენებელმა, იმედი გამოსთქვა, რომ დადგება დრო და საქართველოც დაადგება სწორ გარკვეულ გზასა... საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა...

შემდეგ ე. ი. მეორე განყოფილებაში წარმოადგინეს „დაძმა“ სიმართლე უნდა ითქვას, რომ მთელი დასი იმ ლამეს შესანიშნავად მომზადებული იყო და კარგადაც ჩაატარეს ეს ბიესა. გასაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა გაიოზ ფალავას როლში მოთამამე ყმაწვილი. საზოგადოება დაატკბო ტუსაღების სიმღერა „ოდელიამ“ და გალობა „უფალო შეგვიწყალე“. დიდი მადლობის ღირსია იმ ლამეს, მთელი, მოთამაშე წრე.

ვ. გუთნურის პირელი

ღია წერილი.

რაჟდენ ჭალაყანიძეს *)

გაზეთ ჩვენი ქვეყანის მე 114 ნომერში ე. კორძაიას საქალებო გიმნაზიის მასწავლებლის, ღვდლის რაჟდენ ჭალაყანიძის ფიერ-მოთავსებული პასუხი ჩემს წერილზე, წარმოადგენს სრულ ინსინუაციას, მოკლებულ ყოველივე ჭეშმარიტებას და სამართლიანობას.

ბ. ხუცესო ჭალაყანიძევ! უწინარეს ყოვლისა მე არსად და არავითარ ვექილებთან არ მიმიმართავს, სანამ თქვენ თითონ არ აღმართეთ ჩემს წინააღმდეგ უსაფუძვლო საჩივრები: ის საკითხი, თუ როგორ გაიზარდა ის ბატარა სასწავლებელი, რომლის გამგეთ და დამარსებლათ ვითვლებით მედა ჩემი და ე. კორძაიასი, ვინ დაარსა: მე თუ ჩემმა დამ ანუ ორნივემ ერთათ, ანუ რომელი ჩვენთგანს ნიუძლვის მეტი მოღვაწეობა იმის წინსვლა განვითარებაში ეს ყოველ შემთხვევაში არ შეადგენს თქვენს თავსატეხს და სამწუხარო საგანს, რადგან ეგ უკეთ მოხსენდება თვით მთავრობას, რომელმაც მოგვცა ნებართვა მის გახსნისა და დაადასტურა, თუ ვის, საშვალებით და მეოხებით არის დაარსებული ეგ სასწავლებელი მე არას დროს გიმნაზიის დახურვის საკითხი არ ამიძრავს და თუ ავლძრავ თქვენ არც კი დაგეკითხებით; მოლარეთაც მე ჩემი თავი არ ამომირჩევია, არამედ ვიქცევოდი და ვიქცევი ისე, როგორც შეფერის ამ შკოლის მეპატრონეს და გამგეს და ამიტომაც განვაგებ მის ხარჯებსაც, რადგან ეს შკოლისათვის აუცილებელია. თქვენ, ბ. ხუცესო, კარგათ იცით, რომ ე. კორძაიასი ჩემთვის უცხო პირიც არ არის, არამედ ჩემი დაა, თანაშემწე ჩემი ამ სკოლის მართვა-გამგეობაში, რომლის ინტერესი მე უფრო მესმის, ვინემ თქვენ და სხვა მასწავლებლებს. თქვენ დიდის ქებით ამკობთ ჩემ დას, მეკი იმავე დროს მის თანაშემწეს და მარჯვენა ხელს, მტრულათ მიხსენებთ. ნათქვამია: „ვისაც პიმპილი არ უჭამია, იმას პირი არ უნდა ეწოდესო“.

ეს მოხდა იმიტომ, რომ არ მოგეცითნება და არც მოგცემთ, რომ თქვენ ჩაიგდოთ ხელში გიმნაზიის შემოსავალ-გასავალი ისე როგორც თქვენ გსურთ და როგორც თქვენ გაზეთის ფურცლებზედაც არ მალავთ, ნუ გავიწყდებათ ის რომ ყოველ შემოსავალს და გასავალს აქვს თავისი კანონიერი წესრიგი, რომლის დაცვას ჩვენ ყველანი ვადევნებთ თვალს. მაგრამ ყველაზე უფრო მანცვიფრებს ის თუ რად დაგჭირდათ თქვენ ჩემი გენერლობის და სარდლობის ხსენება თითქოს ეს იყოს რაღაც უარყოფითი მხარე კაცის თვისებისა სამხედრო სფეროს გარდა სხვა საზოგადო მოღვაწეობაში ხელის შემშლელი?!

თქვენ თუ მადარებთ მე რკინის მჭედელს საქმეში, თქვენ ხუცესს, არ შეგშვენის. მაგრამ ეგოდენა თქვენი მოთხრობანი რომლითაც მთელი გაზეთის გვერდი აგივსიათ, ამტკიცებს მას რომ თქვენ არა გაქვსთ სხვა რაიმე შეურყეველი და კანონიერი საბუთი. ამის გარდა ნუ გავიწყდებათ ისიც, რომ ეს გიმნაზია არის კერძო სასწავლებელი, და არა საზოგადო, ანუ სახელმწიფო, მაშასადამე ვერავითარი მასწავლებელთა კოლეგია რომელსაც თქვენ ეგრე ხშირათ იხსენებთ თქვენ წერილში ვერ წაართმევს მის დამაარსებელს იმ უფლებებს, რომელნიც მას მინიჭებული აქვს კანონით და ამიტომაც არავითარი თქვენი გადაწყვეტილება ვერას გზით ვერ შეცვლის ჩემს კანონიერ უფლება მოვალეობას ამ სამოსწავლო დაწესებულებაში. თქვენ კი გსურთ რომ მე ჩამამართვათ ამ სკოლის უფლება რომ ისარგებლოთ ჩემი დის გულკეთილობით და ნდობით და მერმე შკოლის ხარჯები როგორც გნებავთ აწარმოვოთ, მაგრამ ეს ასე არ იქნება. ამით ვათავებ მე თქვენთან პოლემიკას რადგან თვით სასამართლო უფრო გაარჩევს თუ ვინ არის ჩვენ შორის მართალი.

მიხეილ წინამძღვაროვი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

*) კამათს ამ საგანზე რედაქცია ამ წერილით სპობს.

წრეფელმ ბეჭდავი „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი ვოკიეტის ქვეშ